საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/137

28 ოქტომბერი, 2020 წ. ქ. ბათუმი

2020-2021 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,2020-2021 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N465 დადგენილების, ,,2020 - 2021 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 აგვისტოს №91/ნ ბრძანების და ,,2020-2021 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N71 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **2020-2021 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების** (967,500 ლარის ფარგლებში) **მიმღები** ბსუ-ს ბაკალავრიატის და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამების **ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტი** - 430 ადგილი, გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე - 85 ადგილი;
ბ) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე - 45 ადგილი;
გ) მშენებლობის საბაკალავრო პროგრამაზე - 40 ადგილი;
დ) აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე - 55 ადგილი;
ე) ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე - 85 ადგილი;
ვ) ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე - 55 ადგილი;
ზ) ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე - 15 ადგილი;

თ) ქიმიის საბაკალავრო პროგრამაზე - 15 ადგილი;
ი) ფიზიკის საბაკალავრო პროგრამაზე - 10 ადგილი;
კ) მათემატიკის საბაკალავრო პროგრამაზე - 25 ადგილი.

2. წინამდებარე ბრძანება გაიგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**